საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-08/63

ქ. ბათუმი **13 ივნისი, 2018 წ.**

2018 წელს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. **ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:**

ა) **დაინერგოს შეფასების ელექტრონული სისტემა - apa.bsu.edu.ge** (შემდგომში „სისტემა"), რომლის საშუალებით განხორციელდეს აკადემიური პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის შეფასების პროცესი;

ბ) **ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირებს დაევალოს** სისტემაში მასთან დაკავშირებული ელექტრონული ველების შევსება **არაუგვიანეს 2018 წლის 24 ივნისისა;**

გ) აკადემიური საქმიანობის შეფასების მიზნით გამოყენებული იქნეს მხოლოდ 2017-2018 წლის მონაცემები, ხოლო სამეცნიერო მუშაობის შეფასების მიზნით, როგორც 2017-2018 წლის, ისე (შესაფასებელი პირის მიერ აღნიშნული ინფორმაციის სისტემაში ატვირთვის შემთხვევაში) ბოლო ხუთი წლის (2013-2018 წლები) მონაცემები. თითოეულ ველში შესაძლებელია არაუმეტეს ხუთი მონაცემის ატვირთვა;

დ) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის" შესაბამისად, აკადემიური პერსონალის შეფასებაზე

პასუხიმგებელ პირებს (ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი, სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელი) **დაევალოთ შეფასებების გაკეთება არაუგვიანეს 2018 წლის 8 ივლისისა.**

2. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს/უფროსებს ბსუ-ს ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს და აკადემიურ პერსონალს.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**